

## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ბასმოტორს“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

სარჩევი:

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

1. ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2. მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
3. ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
4. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ
2. მომზადების საფუძველი
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები
5. ამონაგები
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი
8. საპროცენტო ხარჯი
9. მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციიდან
10. ძირითადი საშუალებები
11. საინვესტიციო ქონება
12. ფული და ფულის ექვივალენტი
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
15. ფული და ფულის ექვივალენტები
16. გაცემული სესხი
17. გრძელვადიანი სესხი
18. საგადასახადო აქტივები
19. მარაგები

## სააღრიცხვო პოლიტიკა

შპს „ბასმოტორს“ დაფუძნებულია მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა შესახებ და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2014 წლის 31 მარტს, რეგისტრაციის ნომერი - B18193221

იურიდიული მისამართი: ქ.ბათუმი ფრ.ხალვაშის 81ა  
ფაქტობრივი მისამართი: ქ.ბათუმი ფრ.ხალვაშის 81ა  
საიდენტიფიკაციო კოდი: 445 440 489  
საზოგადოების დამფუძნებლები:  
ამირან ბასილაძე 50%-იანი წილის მფლობელი/დირექტორი  
რიმა ბასილაძე 50 %-იანი წილის მფლობელი.  
დირექტორი რუსლან ბასილაძე.

## ზოგადი დებულება

საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:  
-საცალო ვაჭრობა მძიმე ტექნიკებით/სატრანსპორტო საშუალებებით , სატრანსპორტო საშუალებების ნაწილებით და აქსესუარებით.  
- სატრანსპორტო საშუალებებზე/მძიმე ტექნიკაზე რემონტი და ტექნიკური მომსახურება.  
- სხვა საქმიანობა რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული.  
-საწარმო წარმოადგენს მესამე კატეგორიის (საშუალო) საწარმოს.  
-შპს ბასმოტორს-ის შვილობილი კომპანიის მთავარი საქმიანობაა ფართის იჯარით გაცემა .  
როგორც ფიზიკური პირებისათვის, ასევე იურიდიული პირებისათვის.  
კომპანია წარმოადგენს ჯგუფის მშობელ კომპანიას და ფინანსურ ანგარიშგებაში იკონსოლიდირებს შემდეგ შვილობილ საწარმოში.

| შვილობილი საწარმოს დასახელება | საქმიანობის ქვეყანა | წილის ფლობა 2023წ | საქმიანობის სახე     |
|-------------------------------|---------------------|-------------------|----------------------|
| შპს აი დი პი გრუპ             | საქართველო          | 100%              | ფართის იჯარით გაცემა |

## აღრიცხვა და ანგარიშგების ფორმა

წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე:

- საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ.
- საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის(მსს ფასს).
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი.
- ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორ ორგანიზებას უზრუნველყოფს საზოგადოების დირექტორი.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში , თუ სხვა რამ არ არის მითითებული.
- ჯგუფის საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 01 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

## შესაბამისობის განცხადება

აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის მეოთხე წლიური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მცირე და საშუალო კომპანიებისათვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ მესამე კატეგორიის კომპანიებისათვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

## ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე, ასევე ითვალისწინებს ფინანსურ მაჩვენებლებსა და სხვა ძირითად ფაქტორებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების ადეკვატურობის შეფასებისას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ საწარმო მომავალში დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი საქმიანობის განხორციელებას და ვალდებულებების დაფარვას საქმიანობის პროცესში.

## კონსოლიდაციის საფუძველი

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, სრული შემოსავლის ანგარიშგებას, სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას და სხვა განმარტებით ინფორმაციას. შვილობილი კომპანიის 100%-იანი წილის შესყიდვა მოხდა მშობელი საწარმოს მიერ 2020 წლის 10 იანვარს, რომელიც რეგისტრირებულია ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.

## შვილობილი კომპანიები

შვილობილი საწარმო არის საწარმო რომელსაც აკონტროლებს მშობელი საწარმო, კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკურ სარგებლობის მიღებას. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს როდესაც მშობელი საწარმო პირდაპირ ან არაპირდაპირ შვილობილი საწარმოების მეშვეობით ფლობს საწარმოს ხმის უფლებას ნახევარზე მეტს.

## ბუღალტრული აღრიცხვის შერჩეული ფორმა და მეთოდები

ბუღალტრული სინთეზური აღრიცხვა - კომპიუტერული პროგრამა „ორის ბუღალტერიის“ მეშვეობით.

## ფულადი ნაკადების აღრიცხვა-ანგარიშგება

ბუღალტრული ოპერაციები იწარმოება როგორც ლარში, ისე უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარი, ევრო), იმ დღით დაწესებული ეროვნული ბანკის დადგენილი კურსის მიხედვით. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირველადი დოკუმენტებით, მიღებული ინფორმაციებითა და შესაბამისი ბუღალტრული გატარებების საფუძველზე.

## ანგარიშსწორების ფორმა

საზოგადოება ანგარიშსწორებას აწარმოებს როგორც უნაღდო ასევე ნაღდი ანგარიშსწორების ფორმით.

## ანგარიშგების ვალუტა

ანგარიშგების საოპერაციო ვალუტა წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში-ლარი.

## უცხოური ვალუტა

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები ასახულია ანგარიშგების ვალუტაში ოპერაციების მოხდენის დღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შესაბამისი კურსით. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული საბალანსო მუხლები შეფასებულია მიმდინარე კალენდარული წლის 31.12-ით სავალუტე კურსის შესაბამისად.

კურსთა შორის სხვაობა საანგარიშო პერიოდის ბოლოს გადატანილია ფინანსურ შედეგებზე.

## ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

**აღიარება და შეფასება:** ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარებისას

აღირიცხება-თვითღირებულებით ან რეალური ღირებულებით.

შემენილი ძირითადი საშუალებები ბალანსზე აღირიცხება მისი თვითღირებულებით, რომელიც შეიცავს:შემენის ფასს, ტრანსპორტირებისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯებს, განბაჟების ხარჯებს, გეზის მომსახურების ხარჯს, არადაბრუნებად გადასახადებს, აქტივის მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა პირდაპირ ხარჯებს. . მიმდინარე შეკეთებისა და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, როცა ეს ხარჯი გაიწია. **ცვეთა:** ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, როდესაც ის შევა ექსპლუატაციაში. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება .

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით- თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით.

ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადა განისაზღვრება ინდივიდუალურად ჯგუფების მიხედვით. მომსახურების ვადას განსაზღვრავს მენეჯმენტი.

ოფისის აღჭურვილობა-5-10 წელი

სერვისისათვის დამხმარე მოწყობილობები 5-10 წელი

ავეჯი და სხვა ინვენტარი 5-10 წელი

სატრანსპორტო საშუალება 5-10 წელი

შენობა ნაგებობა-50 წელი

## არამატერიალური აქტივების აღრიცხვა

შემენილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება თვითღირებულებით,

რომელიც მოიცავს: შემენის ფასს, ტრანსპორტირებისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის

ხარჯებს, განბაჟების ხარჯებს, გეზის მომსახურების ხარჯს, არადაბრუნებად გადასახადებს, აქტივის მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა პირდაპირ უშუალოდ აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად მომზადებაზე გაწეულ დანახარჯებს ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს და პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოსაყენებლად მომზადებისათვის.

- არამატერიალური აქტივის გამოყენების ვადა განისაზღვრება 10 წლის ვადით.
- არამატერიალურ აქტივს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით.
- ფინანსურ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივი აისახება ნარჩენი ღირებულებით

თვითღირებულებიდან დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

**შვილობილ კომპანიას არამატერიალური აქტივი არ გააჩნია.**

### **სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ანუ მარაგების აღრიცხვა**

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს;

-სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვის მეთოდი - უწყვეტი;

-სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდი „საშუალო-შეწონილი“

### **ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა:**

საექსპლუატაციო მასალები, რომლებიც გამოიყენება მიმდინარე რემონტისათვის, ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციისა და მიმდინარე შეკეთებისათვის თავდაპირველად აღიარდება მარაგებში, ხოლო შემდეგ ჩამოიწერება აქტის საფუძველზე თუ რა დანიშნულებით იქნა გახარჯული.

### **ამონაგების აღიარება**

ამონაგები აღიარდება საქონლის რეალიზაციიდან მაშინ, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება. ხოლო მომსახურების აღიარება ხდება მომსახურების დასრულების დროს, რომელზედაც გაფორმებული იქნება მიღება-ჩაბარების აქტი. შვილობილი კომპანიის ამონაგებს წარმოადგენს მომსახურება - იჯარიდან. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

### **შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა და მოგება-ზარალის ანგარიშგება**

-შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით.

შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კონვენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისათვის/მიწოდებისათვის მისაღები თანხის ოდენობას, ჯგუფი აღიარებს შემოსავალს ყოველი თვის ბოლოს ხელშეკრულებებისა, გამოწერილი სასაქონლო ზედნადებებისა და გაფორმებული მიღება ჩაბარებების აქტების საფუძველზე.

-ხარჯების აღრიცხვის შინაარსი - ფუნქციური დანიშნულებით.

-პროდუქციის რეალიზაცია - 7200 სინთეზურ ანგარიშზე

ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები - 7400 სინთეზურ ანგარიშზე, რომელთაც საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე ეხსნება სუბანგარიშები. დანახარჯები ეკონომიკური შინაარსის მიხედვით აღირიცხება დიფერენცირებულად.

-არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები აღრიცხება შესაბამისად 8100 და 8200 სინთეზურ ანგარიშებზე;

-ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები და ხარჯები აისახება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

### სავაჭრო მოთხოვნები

მომსახურება ძირითადად ხორციელდება როგორც ჩვეულებრივად ასევე კონსიგნაციით, დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში. ჯგუფის ნეტო ამონაგები მოიცავს 18% დღგ-ით დასაბეგრ ბრუნვებს, 0%-ით დღგ-ით დასაბეგრ ბრუნვებს, ასევე დღგ-თ ჩათვლის უფლების გარეშე განთავისუფლებულ ბრუნვებს.

### სავაჭრო ვალდებულებები და მოთხოვნები

წლის ბოლოს აღიარებული ვალდებულებები და მოთხოვნები წარმოადგენს ჩვეულებრივ კონსიგნაციის პირობებით აღებულ ვალდებულებებს და მოთხოვნებს, რომელსაც პროცენტი არ ერიცხება.

### შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურება წარმოებს დროითი სისტემით შრომითი კანონმდებლობისა და საწარმოს მიერ დადგენილი საშტატო განაკვეთების შესაბამისად.

## ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

ბანკიდან ან სხვა საწარმოდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირითადი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება მისი საბოლოო ღირებულებით.

შვილობილ კომპანიას სესხი არ გააჩნია.

## ქონების გადასახადი

ქონების გადასახადის გაანგარიშება ხდება ბალანსზე რიცხული აქტივების შესაბამისად საანგარიშო წლის და წინა წლის აქტივების ნარჩენი ღირებულების საშუალო არითმეტიკულით.

### საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა და კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.

კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ, საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით .

2023 წლის ბოლოს საწესდებო კაპიტალი შეადგენს:

მშობელი კომპანიის კაპიტალია- 706 797 ლარი.

შვილობილი კომპანიის კაპიტალია - 3 746 000 ლარი.

2023 წლის პერიოდში მშობელ კომპანიას გატანილი აქვს თანხა საწესდებო კაპიტალის სახით შვილობილი კომპანიიდან 20 000 ლარის ოდენობით .

მოცულობისა და პარტნიორთა წილების ცვლილებები რეგისტრირდება „მეწარმეთა შესახებ“ კანონით განსაზღვრული წესით.

მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა კრება. წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება დივიდენდების გასაცემად;

## საგადასახადო ვალდებულებების აღრიცხვა

-საწარმო რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად;

-საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით.

### დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება;

-გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;

-უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;

- ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისაგან განსხვავებული, საგადასახად;



- კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები აისახება საგადასახადო ანგარიშგებაში;
- საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული (გაანგარიშებული) გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით);

### **ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა**

საწარმოებს, თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სააღრიცხვო პოლიტიკის ამ თავში შეუძლიათ შეიტანონ დაზუსტებული ანგარიშთა გეგმა დამატებითი ანგარიშების გახსნით.

### **ანგარიშგებების შესწორება გამოცემის შემდეგ**

ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება კომპანიის იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ .

დირექტორი:

ამირან ბასილაძე

დირექტორი:

რუსლან ბასილაძე

| კონსოლიდირებული ფინანსური<br>მდგომარეობის ანგარიშგება |                   |                   |                   |
|-------------------------------------------------------|-------------------|-------------------|-------------------|
|                                                       | 31/12/2023        | 31/12/2022        | 31/12/2021        |
| <b>აქტივები</b>                                       |                   |                   |                   |
| გრძელვადიანი აქტივები                                 |                   |                   |                   |
| ძირითადი საშუალებები                                  | 1,466,700         | 1,509,531         | 1,404,699         |
| არამატერიალური აქტივი                                 |                   |                   |                   |
| საინვესტიციო ქონება                                   |                   |                   |                   |
| ბიოლოგიური აქტივი                                     |                   |                   |                   |
| ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში                      | 5,165,280         | 5,165,280         | 5,165,280         |
|                                                       | <b>6,631,980</b>  | <b>6,674,811</b>  | <b>6,569,979</b>  |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>                          |                   |                   |                   |
| ფული და ფულთან                                        | 923,020           | 547,234           | 879,787           |
| გათანაბრებული ინსტრუმენტები                           |                   |                   |                   |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი                          | 1,553,996         | 1,537,912         | 1,262,183         |
| მოთხოვნები                                            |                   |                   |                   |
| გადახდილი ავანსები                                    | 755,434           | 526,486           | 58,375            |
| მარაგები                                              | 5,052,696         | 3,374,473         | 2,480,539         |
| მისაღები                                              | 147,917           | 148,610           |                   |
| დივიდენდები, სესხები, პროცენტები                      |                   |                   |                   |
| სხვა აქტივი                                           | 97,153            | 182,064           | 99,717            |
|                                                       | <b>8,530,216</b>  | <b>6,316,779</b>  | <b>4,780,601</b>  |
| <b>მთლიანი აქტივები</b>                               | <b>15,162,196</b> | <b>12,991,590</b> | <b>11,350,580</b> |
| <b>მთლიანი კაპიტალი</b>                               |                   |                   |                   |
| საწესდებო კაპიტალი                                    | <b>4,452,797</b>  | <b>4,408,368</b>  | <b>4,493,368</b>  |
| გაუნაწილებელი მოგება /<br>(დაგროვილი ზარალი)          | 7,000,264         | 4,936,251         | 1,904,087         |
| გადაფასების რეზერვი                                   |                   |                   |                   |
|                                                       | <b>11,453,061</b> | <b>9,344,619</b>  | <b>6,397,455</b>  |
| <b>ვალდებულებები</b>                                  |                   |                   |                   |
| გრძელვადიანი ვალდებულებები                            |                   |                   |                   |
| გრძელვადიანი სესხები                                  | 3,247,176         | 3,555,990         | 4,839,574         |
| სხვა გადავადებული გადასახადი                          | 0                 | 0                 | 0                 |
|                                                       | <b>3,247,176</b>  | <b>3,555,990</b>  | <b>4,839,574</b>  |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>                     |                   |                   |                   |

|                               |                   |                   |                   |
|-------------------------------|-------------------|-------------------|-------------------|
| მოკლევადიანი სესხები          |                   |                   |                   |
| გადავადებული შემოსავალი       |                   |                   |                   |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი  | 121,192           | 49,529            | 104,309           |
| ვალდებულებები                 |                   |                   |                   |
| მიღებული აგანსები             | 246,441           | 6,917             |                   |
| ვალდებულებები თანამშრომელთა   | 90,000            | 34,535            | 9,242             |
| მიმართ                        |                   |                   |                   |
| საგადასახადო ვალდებულებები    | 4,326             |                   |                   |
| გადასახდელი პროცენტი          |                   |                   |                   |
| გადასახდელი დივიდენდი         |                   |                   |                   |
|                               | <b>461,959</b>    | <b>90,981</b>     | <b>113,551</b>    |
| <b>მთლიანი ვალდებულებები</b>  | <b>3,709,135</b>  | <b>3,646,971</b>  | <b>4,953,125</b>  |
| <b>მთლიანი კაპიტალი &amp;</b> | <b>15,162,196</b> | <b>12,991,590</b> | <b>11,350,580</b> |
| <b>ვალდებულებები</b>          |                   |                   |                   |

#### კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

|                           | <b>31/12/2023</b>   | <b>31/12/2022</b>   |
|---------------------------|---------------------|---------------------|
| ამონაგები                 | <b>15,132,253</b>   | <b>14,394,172</b>   |
| საქონლის გაყიდვიდან       | 14,513,614          | 13,776,525          |
| მომსახურების გაწევიდან    | 621,486             | 638,464             |
| ფასდაკლება და უკან        |                     |                     |
| დაბრუნებული               | (2,847)             | (20,817)            |
| გაყიდული საქონელი         |                     |                     |
| რეალიზებული პროდუქციის    |                     |                     |
| თვითღირებულება:           | <b>(11,737,039)</b> | <b>(11,140,766)</b> |
| საწყისი მარაგი            | 3,372,123           | 2,463,325           |
| შესყიდვა                  | 13,514,031          | 12,109,748          |
| ფასდაკლება და უკან        |                     |                     |
| დაბრუნებული შესყიდული     |                     |                     |
| საქონელი                  | (67,185)            | (18,992)            |
| გადამუშავების დანახარჯები | (31,585)            | (38,842)            |

|                               |                  |                  |
|-------------------------------|------------------|------------------|
| საბოლოო მარაგი                | (5,050,345)      | (3,374,473)      |
| <b>საერთო მოგება</b>          | <b>3,395,214</b> | <b>3,253,406</b> |
| სხვა შემოსავლები/ხარჯები      | 1757             | 4,246            |
| დასაქმებულთა ანაზღურება       | (469,806)        | (359,064)        |
| ცვეთა და ამორტიზაცია          | (63,414)         | (62,027)         |
| საპროცენტო შემოსავალი         |                  |                  |
| საპროცენტო ხარჯი              | (224,004)        | (167,147)        |
| იჯარის ხარჯი                  | (64,721)         | (35,047)         |
| ადმინისტრაციული და სხვა       |                  |                  |
| საერთო ხარჯი                  | (160,912)        | (228,671)        |
| მოგების გადასახადის ხარჯი     | (8,637)          | (5,950)          |
| <b>საოპერაციო მოგება</b>      | <b>2,405,477</b> | <b>2,405,696</b> |
| ძირითადი საშუალებების         |                  |                  |
| გადაფასების რეზერვი           | 12,190           | 6,414            |
| მიღებული დივიდენდები          | 20,000           | 85,000           |
| სხვა არასაოპერაციო            |                  |                  |
| შემოსავალი/ხარჯი უცხოური      |                  |                  |
| ვალუტით ვაჭრობიდან და         | (88,242)         | 667,013          |
| სავალუტო სახსრების            |                  |                  |
| გადაფასებიდან                 |                  |                  |
| <b>საანგარიშგებო პერიოდის</b> | <b>2,349,425</b> | <b>3,164,123</b> |
| <b>მოგება/ზარალი</b>          |                  |                  |
| მოგების გადასახადი            | -                | -                |
| <b>პერიოდის მოგება</b>        | <b>2,349,425</b> | <b>3,164,123</b> |
| <b>პერიოდის მთლიანი სრული</b> | <b>2,349,425</b> | <b>3,164,123</b> |
| <b>მოგება/ზარალი</b>          |                  |                  |

| კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების<br>ანგარიშგება              | 31/12/2023       | 31/12/2022      |
|--------------------------------------------------------------|------------------|-----------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>              |                  |                 |
| გაყიდვებიდან/ მომსახურებიდან მიღებული<br>ფულადი სახსრები     | 15,101,627       | 14,722,565      |
| მიღებული ავანსები                                            | 1,965,537        | 1,441,758       |
| სხვა შემოსავალი                                              |                  |                 |
| მომწოდებელზე გადახდილი თანხები                               | (8,690,716)      | (8,511,284)     |
| ანგარიშ ვალდებულ პირზე გაცემული თანხები                      | (593,556)        | (368,215)       |
| თანამშრომელზე ხელფასის სახით გაცემული<br>თანხები             | (316,899)        | (264,027)       |
| ავანსის სახით გადახდილი ფულადი სახსრები                      | (3,857,456)      | (3,903,981)     |
| გადახდილი გადასახადები                                       | (2,309,126)      | (2,156,621)     |
| სხვა გადასახადები                                            | (100,972)        | (109,417)       |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო<br/>საქმიანობიდან</b>   | <b>1,198,439</b> | <b>850,778</b>  |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო<br/>საქმიანობიდან</b>        |                  |                 |
| ძირითადი საშუალებების შეძენა                                 | (8,484)          | (139,444)       |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვა                                | 144              | 73,871          |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო<br/>საქმიანობიდან</b> | <b>(8,340)</b>   | <b>(65,573)</b> |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>               |                  |                 |
| შემოსავალი სავალუტო გადაფასებიდან                            | (27,413)         |                 |
| კაპიტალიდან შემოსული ფულადი სახსრები                         | 64,427           |                 |
| შემოსავლის დივიდენდის სახით                                  | 20,000           |                 |
| სესხის გაცემა                                                |                  | 85,000          |
| გასავალი სავალუტო გადაფასებიდან                              |                  | (160,941)       |
| მოკლევადიანი სესხის დაფარვა                                  | 35               | (229,420)       |
| გრძელვადიანი სესხის დაფარვა                                  | (401,628)        |                 |
| სასესხო პროცენტის დაფარვა                                    | (224,034)        | (441,894)       |
| გადახდილი დივიდენდები                                        | (215,526)        |                 |

|                                                                                |                  |                    |
|--------------------------------------------------------------------------------|------------------|--------------------|
| კაპიტალი გატანა                                                                | (20,000)         | (119,708)          |
| სხვა ვალდებულება                                                               | (10,175)         | 1,230              |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>                          | <b>(814,314)</b> | <b>(1,117,759)</b> |
| <b>ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის</b>                                    | <b>547,233</b>   | <b>879,787</b>     |
| <b>ფულადი სახსრების ექვივალენტების მოძრაობა წლის განმავლობაში</b>              | <b>375,785</b>   | <b>(332,554)</b>   |
| <b>ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი</b> | <b>923,018</b>   | <b>547,233</b>     |

### კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება

|                                                             | 2023 წელი         | 2022 წელი        |
|-------------------------------------------------------------|-------------------|------------------|
| <b>საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი პერიოდის დასაწყისში</b> | <b>9,344,618</b>  | <b>6,397,454</b> |
| საწესდებო კაპიტალი შემოსვლა                                 | 64,427            | (85,000)         |
| საწესდებო კაპიტალი გასვლა                                   | (20,000)          |                  |
| გაცემული დივიდენდი                                          | (226,869)         | (126,090)        |
| მიმდინარე წლის მოგება ზარალი                                | 2,349,425         | 3,158,254        |
| ცვლილებები მოგება ზარალში                                   | (58,541)          |                  |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                                | <b>11,453,060</b> | <b>9,344,618</b> |

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის  
ანგარიშგება

|                                             | 31/12/2023        | 31/12/2022        | 31/12/2021        |
|---------------------------------------------|-------------------|-------------------|-------------------|
| <b>აქტივები</b>                             |                   |                   |                   |
| გრძელვადიანი აქტივები                       |                   |                   |                   |
| მირითადი საშუალებები                        | 1,466,700         | 1,509,531         | 1,404,699         |
| არამატერიალური აქტივი                       |                   |                   |                   |
| საინვესტიციო ქონება                         |                   |                   |                   |
| ბიოლოგიური აქტივი                           |                   |                   |                   |
| ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში            | 5,165,280         | 5,165,280         | 5,165,280         |
|                                             | <b>6,631,980</b>  | <b>6,674,811</b>  | <b>6,569,979</b>  |
| მოკლევადიანი აქტივები                       |                   |                   |                   |
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები  | 923,020           | 547,234           | 879,787           |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები     | 1,553,996         | 1,537,912         | 1,262,183         |
| გადახდილი ავანსები                          | 755,434           | 526,486           | 58,375            |
| მარაგები                                    | 5,052,696         | 3,374,473         | 2,480,539         |
| მისაღები დივიდენდები, სესხები, პროცენტები   | 147,917           | 148,610           |                   |
| სხვა აქტივი                                 | 97,153            | 182,064           | 99,717            |
|                                             | <b>8,530,216</b>  | <b>6,316,779</b>  | <b>4,780,601</b>  |
| <b>მთლიანი აქტივები</b>                     | <b>15,162,196</b> | <b>12,991,590</b> | <b>11,350,580</b> |
| <b>მთლიანი კაპიტალი</b>                     |                   |                   |                   |
| საწესდებო კაპიტალი                          | 4,452,797         | 4,408,368         | 4,493,368         |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)   | 7,000,264         | 4,936,251         | 1,904,087         |
| გადაფასების რეზერვი                         |                   |                   |                   |
|                                             | <b>11,453,061</b> | <b>9,344,619</b>  | <b>6,397,455</b>  |
| <b>ვალდებულებები</b>                        |                   |                   |                   |
| გრძელვადიანი ვალდებულებები                  |                   |                   |                   |
| გრძელვადიანი სესხები                        | 3,247,176         | 3,555,990         | 4,839,574         |
| სხვა გადავადებული გადასახადი                | 0                 | 0                 | 0                 |
|                                             | <b>3,247,176</b>  | <b>3,555,990</b>  | <b>4,839,574</b>  |
| მოკლევადიანი ვალდებულებები                  |                   |                   |                   |
| მოკლევადიანი სესხები                        |                   |                   |                   |
| გადავადებული შემოსავალი                     |                   |                   |                   |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები  | 121,192           | 49,529            | 104,309           |
| მიღებული ავანსები                           | 246,441           | 6,917             |                   |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ          | 90,000            | 34,535            | 9,242             |
| საგადასახადო ვალდებულებები                  | 4,326             |                   |                   |
| გადასახდელი პროცენტი                        |                   |                   |                   |
| გადასახდელი დივიდენდი                       |                   |                   |                   |
|                                             | <b>461,959</b>    | <b>90,981</b>     | <b>113,551</b>    |
| <b>მთლიანი ვალდებულებები</b>                | <b>3,709,135</b>  | <b>3,646,971</b>  | <b>4,953,125</b>  |
| <b>მთლიანი კაპიტალი &amp; ვალდებულებები</b> | <b>15,162,196</b> | <b>12,991,590</b> | <b>11,350,580</b> |

დირექტორი: ამირან ბასილაძე

დირექტორი: რუსლან ბასილაძე

მთ.ბუღალტერი: ლალი გორგილაძე

**კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის  
ანგარიშგება**

|                                                                                                          | <b>31/12/2023</b>   | <b>31/12/2022</b>   |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------|---------------------|
| ამონაგები                                                                                                | <b>15,132,253</b>   | <b>14,394,172</b>   |
| საქონლის გაყიდვიდან                                                                                      | 14,513,614          | 13,776,525          |
| მომსახურების გაწევიდან                                                                                   | 621,486             | 638,464             |
| ფასდაკლება და უკან დაბრუნებული<br>გაყიდული საქონელი                                                      | (2,847)             | (20,817)            |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება:                                                                   | <b>(11,737,039)</b> | <b>(11,140,766)</b> |
| საწყისი მარაგი                                                                                           | 3,372,123           | 2,463,325           |
| შესყიდვა                                                                                                 | 13,514,031          | 12,109,748          |
| საქონელი                                                                                                 | (67,185)            | (18,992)            |
| გადამუშავების დანახარჯები                                                                                | (31,585)            | (38,842)            |
| საბოლოო მარაგი                                                                                           | <b>(5,050,345)</b>  | <b>(3,374,473)</b>  |
| საერთო მოგება                                                                                            | <b>3,395,214</b>    | <b>3,253,406</b>    |
| სხვა შემოსავლები/ხარჯები                                                                                 | 1757                | 4,246               |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                                                                 | (469,806)           | (359,064)           |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                                                     | (63,414)            | (62,027)            |
| საპროცენტო შემოსავალი                                                                                    | (224,004)           | (167,147)           |
| საპროცენტო ხარჯი                                                                                         | (64,721)            | (35,047)            |
| იჯარის ხარჯი                                                                                             | (160,912)           | (228,671)           |
| ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი                                                                     | (8,637)             | (5,950)             |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                                                                | <b>2,405,477</b>    | <b>2,405,696</b>    |
| საოპერაციო მოგება                                                                                        |                     |                     |
| ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი                                                                | <b>12,190</b>       | <b>6,414</b>        |
| მიღებული დივიდენდები                                                                                     | <b>20,000</b>       | <b>85,000</b>       |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი უცხოური<br>ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების<br>გადაფასებიდან | <b>(88,242)</b>     | <b>667,013</b>      |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი                                                                     | <b>2,349,425</b>    | <b>3,164,123</b>    |
| მოგების გადასახადი                                                                                       | -                   | -                   |
| პერიოდის მოგება                                                                                          | <b>2,349,425</b>    | <b>3,164,123</b>    |
| პერიოდის მთლიანი სრული მოგება/ზარალი                                                                     | <b>2,349,425</b>    | <b>3,164,123</b>    |

დირექტორი: ამირან ბასილაძე

დირექტორი: რუსლან ბასილაძე

მთ.ბუღალტერი: ლალი გორგილაძე






| კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება                            | 31/12/2023       | 31/12/2022         |
|-------------------------------------------------------------------------|------------------|--------------------|
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან                                |                  |                    |
| გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული ფულადი სახსრები                    | 15,101,627       | 14,722,565         |
| მიღებული ავანსები                                                       | 1,965,537        | 1,441,758          |
| სხვა შემოსავალი                                                         |                  |                    |
| მომწოდებელზე გადახდილი თანხები                                          | (8,690,716)      | (8,511,284)        |
| ანგარიშ ვალდებულ პირზე გაცემული თანხები                                 | (593,556)        | (368,215)          |
| თანამშრომელზე ხელფასის სახით გაცემული თანხები                           | (316,899)        | (264,027)          |
| ავანსის სახით გადახდილი ფულადი სახსრები                                 | (3,857,456)      | (3,903,981)        |
| გადახდილი გადასახადები                                                  | (2,309,126)      | (2,156,621)        |
| სხვა გადასახადები                                                       | (100,972)        | (109,417)          |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                  | <b>1,198,439</b> | <b>850,778</b>     |
| ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან                              |                  |                    |
| ძირითადი საშუალებების შეძენა                                            | (8,484)          | (139,444)          |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვა                                           | 144              | 73,871             |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                | <b>(8,340)</b>   | <b>(65,573)</b>    |
| ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან                                 |                  |                    |
| შემოსავალი სავალუტო გადაფასებიდან                                       | (27,413)         |                    |
| კაპიტალიდან შემოსული ფულადი სახსრები                                    | 64,427           |                    |
| შემოსავლის დივიდენდის სახით                                             | 20,000           | 85,000             |
| სესხის გაცემა                                                           |                  | (160,941)          |
| გასავალი სავალუტო გადაფასებიდან                                         |                  | (229,420)          |
| მოკლევადიანი სესხის დაფარვა                                             | 35               |                    |
| გრძელვადიანი სესხის დაფარვა                                             | (401,628)        |                    |
| სასესხო პროცენტის დაფარვა                                               | (224,034)        | (441,894)          |
| გადახდილი დივიდენდები                                                   | (215,526)        | (252,026)          |
| კაპიტალი გატანა                                                         | (20,000)         | (119,708)          |
| სხვა ვალდებულებები                                                      | (10,175)         | 1,230              |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>                   | <b>(814,314)</b> | <b>(1,117,759)</b> |
| ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის                                    | <b>547,233</b>   | <b>879,787</b>     |
| ფულადი სახსრების ექვივალენტების მოძრაობა წლის განმავლობაში              | <b>375,785</b>   | <b>(332,554)</b>   |
| ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი | <b>923,018</b>   | <b>547,233</b>     |

დირექტორი: ამირან ბასილაძე

დირექტორი: რუსლან ბასილაძე

მთ.ბუღალტერი: ლალი გორგილაძე

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

|                                                      | 2023 წელი  | 2022 წელი |
|------------------------------------------------------|------------|-----------|
| საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი პერიოდის დასაწყისში | 9,344,618  | 6,397,454 |
| საწესდებო კაპიტალი შემოსვლა                          | 64,427     | (85,000)  |
| საწესდებო კაპიტალი გასვლა                            | (20,000)   |           |
| გაცემული დივიდენდი                                   | (226,869)  | (126,090) |
| მიმდინარე წლის მოგება ზარალი                         | 2,349,425  | 3,158,254 |
| ცვლილებები მოგება ზარალში                            | (58,541)   |           |
| სულ საკუთარი კაპიტალი                                | 11,453,060 | 9,344,618 |

დირექტორი: ამირან ბასილაძე

დირექტორი: რუსლან ბასილაძე

მთ.ბუღალტერი: ლალი გორგილაძე

